



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
ბრძანება



MES 6 23 0001716182



15/12/2023

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „ვაგონის მსინჯველი“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2023 წლის 14 დეკემბრის №1711909 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა: „ვაგონის მსინჯველი“ (დანართი).
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის
დირექტორის მოადგილე
კახაბერ ერაძე



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01827	ვაგონის მსინჯველი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	30	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ, მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10; სს „საქართველოს რკინიგზა“, ქ. სამტრედია, რუსთაველის ქ. N28;

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2023 წლის 11 ნოემბრის

ბრძანებით N107



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ვაგონების მსინჯველი
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input type="checkbox"/> 3 <input checked="" type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 12
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის მიზანი: ვაგონების ხარისხიანი გასინჯვა-შეკეთება სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და პუნქტის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად და მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის, მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის, სახელმძღვანელო დოკუმენტების და მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის მოთხოვნების შესრულების მიზნით.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
2. ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება;
3. ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შეკეთება;
4. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
5. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/ შეკეთების სამუშაოს ორგანიზება;
6. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება;
7. სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება-შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა;
8. სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზება;
9. სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების აღწერა;
10. სამუხრუჭე მოწყობილობის შემოწმება;
11. სამუხრუჭე მოწყობილობის შეკეთება.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „სავაგონო მეურნეობა“

მოდულები:

- ვაგონის ძარისა და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება;
- სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება;
- სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება ექსპლუატაციაში;
- სატვირთო და სამგზავრო ვაგონის სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება ექსპლუატაციაში.

პროგრამის მოკლე აღწერა: წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 12 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 15 საათი, რაც ჯამში შეადგენს 180 საათს. პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს შეეძლება კომპეტენციის ფარგლებში სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება, სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება, ვაგონის ძარისა და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება, ვაგონის სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება-შეკეთება ექსპლუატაციაში. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო იარაღის შერჩევა; • პირადი უსაფრთხოების ნორმების დაცვა; • ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების დანიშნულება, კონსტრუქციები და მუშაობის პრინციპები; • ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შესაძლო უწყესივრობების გამოვლენა; • ძარის ტექნიკური მახასიათებლები; • დამრტყმელ-საწევი მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლები; • ძარის საექსპლუატაციო პირობები; • დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების საექსპლუატაციო პირობები; • ტექნიკური მომსახურებისას ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობებისადმი წაყენებული მოთხოვნები; • დამრტყმელ საწევი მოწყობილობების კლასები და სახეობები. 	1	15	ინტერაქციული ლექცია,	გამოკითხვა	A
2	<ul style="list-style-type: none"> • მზომი თარგით ავტოგადაბმულობის ხახის გაგანიერების შემოწმება; • მზომი თარგით ავტოგადაბმულობის პატარა კბილის შემოწმება; • მზომი თარგით შეჭიდების კონტურის განსაზღვრა; • მზომი თარგით შეჭიდების კონტურის რადიუს განსაზღვრა; • ძალაყინის გამოყენებით გადახსნისაგან დამცველის მუშაობის შემოწმება; • უსაფრთხოების წესების დაცვით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების შესრულება. 	2	15	ინტერაქციული ლექცია,	გამოკითხვა	A

3	<ul style="list-style-type: none"> ავტოსაბმის კლიტის შეკეთება; შეკეთებული და აწყობილი ავტოსაბმელის შემოწმება. 	3	15	<p>ინტერაქციული ლექცია,</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა</p>	<p>პრაქტიკული დავალემა დაკვირვებით</p>	A, C
4	<ul style="list-style-type: none"> სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/შეკეთებისათვის სპეციალური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისათვის სამუშაოს ორგანიზების წესები; სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება-შეკეთებისათვის საჭირო ხელსაწყოების დანიშნულება და მუშაობის პრინციპი; ურიკის ძირითადი კვანძების (წყვილთვალა ბუქსებით, ურიკის რესორზედა ძელი, გვერდითი ძელი და რესორული ჩამოკიდება) ტექნიკურ მახასიათებლები; ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნები. 	4	15	<p>ინტერაქციული ლექცია,</p> <p>პრაქტიკული მეცადინეობა</p>	<p>პრაქტიკული დავალემა დაკვირვებით</p>	A, C
5	<ul style="list-style-type: none"> სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმების და შეკეთებისათვის საჭირო ხელსაწყოების/დანადგარების/სამარჯვების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპები; სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმების და შესაძლო უწყისივრობების გამოვლენის ხერხები; სავალი ნაწილის დაშლისა და აწყობის წესი; მოდრავი შემადგენლობის (ვაგონის) სავალი ნაწილის ტექნიკური მომსახურების წესები; შესასრულებელი სამუშაოების სახეები/სამუშაო ამოცანები; სამუშაო იარაღები; 	4,5	15	<p>ინტერაქციული ლექცია,</p>	<p>გამოკითხვა</p>	A, C

	<ul style="list-style-type: none"> სამუშაოს შესრულების დროს პირადი უსაფრთხოების წესები. 					
6	<ul style="list-style-type: none"> სავალ ნაწილზე შესაძლო უწყესივრობები და მათ გამოვლენის ხერხები; თეორია და პრაქტიკა (ხერხები: ვიზუალური გამოვლენა, თარგების მეშვეობით და დეფექტოსკოპების მეშვეობით); ურიკის ძირითადი კვანძების (წყვილთვალა ბუქსებით, ურიკის რესორზედა ძელი, გვერდითი ძელი და რესორული ჩამოკიდება) ტექნიკური მახასიათებლები; ტექნიკური მომსახურებისას სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებული მოთხოვნები. 	6	15	ინტერაქციული ლექცია,	გამოკითხვა	A, C
7	<ul style="list-style-type: none"> სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/შეკეთებისათვის სპეციალური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისათვის სამუშაოს ორგანიზების წესები; სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმებისა და შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება-შეკეთებისათვის საჭირო ხელსაწყოების დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს; ურიკის ძირითადი კვანძების (წყვილთვალა ბუქსებით, ურიკის რესორზედა ძელი, გვერდითი ძელი და რესორული ჩამოკიდება) ტექნიკურ მახასიათებლები; ტექნიკური მომსახურებისას სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნები. 	7	15	ინტერაქციული ლექცია,	გამოკითხვა	A, C

8	<ul style="list-style-type: none"> • სავალ ნაწილზე უწესივრობები და მათი გამოვლენის ხერხები; • ურიკის ძირითადი კვანძების ტექნიკური მახასიათებლები; • ურიკების საექსპლუატაციო პირობები; • ტექნიკური მომსახურებისას სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილებისადმი წაყენებული მოთხოვნები; • სავალი ნაწილი და მისი შემადგენელი კვანძები; • სავალი ნაწილის დაშლა აწყობა. 	8	15	ინტერაქციული ლექცია,	გამოკითხვა	A, C
9	<ul style="list-style-type: none"> • სამუხრუჭე მოწყობილობის დანიშნულება და ტექნიკური მონაცემები; • სამუხრუჭე მოწყობილობების ნაწილები, მისი შემადგენელი კვანძები და დეტალები; • სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დანიშნულება; • შესასრულებელი სამუშაოების ხასიათიდან გამომდინარე სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება/შეკეთებისას პირადი უსაფრთხოების წესები; • სამუხრუჭე მოწყობილობებისა და მისი შემადგენელი კვანძების და დეტალების დანიშნულება, ტიპები და მუშაობის პრინციპები. 	9	15	ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
10	<ul style="list-style-type: none"> • სამუხრუჭე მოწყობილობების განლაგება, დანიშნულება, კლასიფიკაცია და დამუხრუჭების სახეები; • სამუხრუჭე მოწყობილობების შესაძლო უწესივრობები და მათ გამოვლენის ხერხები; • ვაგონის სამუხრუჭე მაგისტრალისა და არმატურის მოწყობილობები და მუშაობის პრინციპები; 	10	15	ინტერაქციული ლექცია, დისკუსია.	გამოკითხვა	A, C

	<ul style="list-style-type: none"> დამუხრუჭების ხელსაწყოების (ჰაერმანაწილებლები, სამუხრუჭე ცილინდრები, სამარაგო რეზერვუარები, ავტორეჟიმები) მოწყობილობა და მუშაობის პრინციპები; ვაგონის სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემების მოწყობილობა და მუშაობის პრინციპები. 					
11	<ul style="list-style-type: none"> ტექნიკური მომსახურებისას მოძრავი შემადგენლობის (ვაგონის) სამუხრუჭე სისტემებისადმი წაყენებული მოთხოვნები; სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმებისათვის საჭირო ხელსაწყოების/დანადგარების/სამარჯვების დანიშნულება და მუშაობის პრინციპები; ვაგონის სამუხრუჭე მაგისტრალისა და არმატურის მოწყობილობების ჩვენება; დამუხრუჭების ხელსაწყოების (ჰაერმანაწილებლები, სამუხრუჭე ცილინდრები, სამარაგო რეზერვუარები, ავტორეჟიმები) დაშლა/აწყობა; ვაგონის სამუხრუჭე ბერკეტული გადაცემების დაშლა/აწყობა. 	10	15	ინტერაქციული ლექცია, დისკუსია. პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
12	<ul style="list-style-type: none"> სამუხრუჭე მოწყობილობის შეკეთების ტექნოლოგია; სამუხრუჭე მოწყობილობის შეკეთება. 	11	15	ინტერაქციული ლექცია, დისკუსია. პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A,C

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა "სავაგონო მეურნეობა"	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
0711718 - ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	<ol style="list-style-type: none"> 1. ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა; 2. ვაგონის ძარის და დამრტყმელ - საწევი მოწყობილობების შემოწმება; 3. ვაგონის ძარის და დამრტყმელ-საწევი მოწყობილობების შეკეთება.
0711720 - სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	<ol style="list-style-type: none"> 1. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება/შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა; 2. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება/ შეკეთების სამუშაოს ორგანიზება; 3. სატვირთო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება.
0711714 - სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილების შემოწმება-შეკეთება	<ol style="list-style-type: none"> 1. სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება-შეკეთების სამუშაოს ორგანიზების აღწერა; 2. სამგზავრო ვაგონის სავალი ნაწილის შემოწმება.
0711711- სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	<ol style="list-style-type: none"> 1. სამუხრუჭე მოწყობილობების შემოწმება/შეკეთების აღწერა; 2. სამუხრუჭე მოწყობილობის შემოწმება; 3. სამუხრუჭე მოწყობილობის შეკეთება.